ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N6

27.06.2017

**ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:**

დღის წესრიგში წარმოდგენილია 10 ძირითადი საკითხი:

1. იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცება.
2. ელენე კვანჭილაშვილის კროსკულტურული ფსიქოლოგიის სილაბუსის დამტკიცება.
3. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის დამტკიცება.
4. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილების შეტანისათვის.
5. უცხოელი სტუდენტების მიღების საფაკულტეტო წესის დამტკიცება.
6. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის ერთი ადგილის გამოყოფის საკითხი.
7. ასოც.პროფ. გ. გოროშიძის წინადადებების განხილვა:

   ა. ფსიქოლოგიის კანონიერი, აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის აღდგენის შესახებ;

   ბ. სწავლების 2 მოდელის შემოღების შესახებ („კურიკულუმის ეფექტიანობა");

   a. გ. გოროშიძის მიერ 1,5 წლის წინ წარმოდგენილი 4 კურსიდან საბაკალავრო პროგრამაში 2 კურსის ჩასმის ლეგიტიმურობის და მიზანშეწონილების შესახებ;

   დ. პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ;

   ე. ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულად ცნობის აუცილებლობის შესახებ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

*<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>*

**პროფესორი:**

ნანა სუმბაძე, ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე.

**ასოცირებული პროფესორები :**

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, შორენა მამუკაძე.

**ასისტენტ პროფესორები:** ლია ჩხიკვიშვილი, ნინო ლაბარტყავა, ირინა გედევანიშვილი.

*ათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

**ასოცირებული პროფესორი :**

ზაქარია ქიტიაშვილი

*სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:*

*ფსიქოლოგიის მიმართულება :*

ნათია კაპანაძე

პაატა ჯოლბორდი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

განიხილეს:

**1. იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცება.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც.პროფ. მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა ასოც.პროფ.-მა ვ. ნადარეიშვილმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოადგინა განაცხადი პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ. სამსახურმა შეისწავლა ცვლილებათა მართლზომიერება. შესაბამისად, მ. მელიქიშვილმა სთხოვა საბჭოს, მხარი დაუჭიროს პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს და დაამტკიცოს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

**2. ელენე კვანჭილაშვილის კროსკულტურული ფსიქოლოგიის სილაბუსის დამტკიცება.**

ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილის ცნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა განცხადება კროსკულტურული ფსიქოლოგიის სილაბუსის დამტკიცების შესახებ, მაგრამ განცხადებას თან არ ერთვოდა აღნიშნული სილაბუსი. შესაბამისად, განცხადების განხილვა და საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად სილაბუსის გამოტანა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება. საჭიროა, განმცხადებელმა უახლოეს პერიოდში წარმოადგინოს აღნიშნული სილაბუსი, სამსახური შეისწავლის მას და იმოქმედებს უფლებამოსილების ფარგლებში - წარადგენს საბჭოზე დასამტკიცებლად, ან ხარვეზების ქონის პირობებში მისცემს პროფესორს რეკომენდაციებს მის აღმოსაფხვრელად.

**აზრი გამოთქვეს:**

**პროფ. ნანა სუმბაძემ აღნიშნა, რომ სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ მხოლოდ განცხადება წარმოდგენილი იქნა იმიტომ, რომ ინსტიტუტს აღნიშნული სილაბუსი ადრე აქვს გამოგზავნილი.**

ასოც. პროფესორმა, მანანა მელიქიშვილმა, პასუხად დააფიქსირა - სილაბუსის წარმოდგენის წესი ითვალისწინებს განცხადებაზე თანდართულ სილაბუსს, მით უფრო, რომ შეიძლება მცირე, მაგრამ მაინც კორექტივები ჰქონდეს ავტორს შეტანილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განხილვისას სილაბუსის უკანასკნელ ვერსიას უნდა დაეყრდნოს. შესაბამისად, ამ საკითხის დამტკიცება მოცემულ სხდომაზე დღის წესრიგში ვერ დადგება.

პროფ. ნანა სუმბაძე - გასაგებია თქვენი პოზიცია და ვეცდებით უახლოეს პერიდში წარმოვადგინოთ კროსკულტურული ფსიქოლოგიის სილაბუსი.

საბჭომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი არგუმენტები.

**3. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის დამტკიცება.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც.პროფ.-მა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს აცნობა, რომ განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა სამსახურს მიმართა განცხადებით განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის დამტკიცების თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:**

პროფ. ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ მართალია, ამჟამად „მასწავლებელთა განათლების პროგრამის ხელმძღვანელია ასოც. პროფესორი ივა მინდაძე, თუმცა, მისი გადატვირთული რეჟიმის გამო, მნიშვნელოვანია დეპარტამენტში არსებობდეს კადრი, რომელიც მისი არყოფნის პირობებში შეძლებს აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასა და საჭირო პროფესიული კომუნიკაციის წარმართვას. ზაქარია ქიტიაშვილის კანდიდატურა მისაღებია, რამდენადაც ის აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

**4. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილების შეტანისათვის.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც.პროფ. მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროგრამებსა თუ სილაბუსებში რაიმე ცვლილებების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელებსა და სილაბუსის ავტორებს დაახლოებით 20 – 25 ივლისამდე, ფაკულტეტის საბჭოს ამ სასწავლო წლის ბოლო სხდომამდე, შესაძლებლობა აქვთ სამსახურს მიაწოდონ ცვლილებათა შინაარსი, რათა მოხერხდეს შესწავლა და შემდეგ საბჭოზე დასამტკიცებლად გამოტანა; მან აქვე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია, რომ დაგვიანებით ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მაგალითად, სექტემბრის თვეში, დაწყებული სასწავლო პროცესის პირობებში მათი დამტკიცება და კურიკულუმში ჩართვა ვეღარ მოხერხდება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წინადადება საბჭომ მიიღო ცნობად.

**5. უცხოელი სტუდენტების მიღების საფაკულტეტო წესის დამტკიცება.**

დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ მათ შეკრებამდე დაეგზავნათ უცხოელი სტუდენტების მიღების საფაკულტეტო წესის ნიმუში და შესათანხმებელია ამ სტუდენტთა მიღების ვადები. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ორი მოსაზრება: აღნიშნული პროცესი იყოს უვადო - უცხოელ სტუდენტს განცხადების შემოტანა

კანონმიერ დროს შეეძლოს ან, 2.დადგინდეს ზღვრული ვადები ამ ადმინისტრაციული მომსახურებისათვის.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ პროცესის განსაზღვრა უვადოდ სირთულეებს გამოიწვევს - სასწავლო პროცესს შეუშლის ხელს, ასევე, მუშაობას გაურთულებს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტებს. ამიტომ გონივრული იქნება, რომ დაწესდეს სტუდენტთა მიღების კონკრეტული ვადები.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

**6. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის ერთი ადგილის გამოყოფის საკითხი.**

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფ. ლ. სურმანიძემ საბჭოს განუმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ პროგრამაზე კონკურსის გამოცხადებას ერთ ადგილზე, რამდენადაც პროგრამას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს კიდევ ერთი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა. მან საბჭოს მიმართა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის ერთი ადგილის გამოყოფის თხოვნით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

7. ასოც.პროფ. გ. გოროშიძის წინადადებების განხილვა:

a. ფსიქოლოგიის კანონიერი, აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის აღდგენის შესახებ;
b. სწავლების 2 მოდელის შემოღების შესახებ („კურიკულუმის ეფექტიანობა“);
c. გ. გოროშიძის მიერ 1,5 წლის წინ წარმოდგენილი 4 კურსიდან საბაკალავრო პროგრამაში 2 კურსის ჩასმის ლეგიტიმურობის და მიზანშეწონილების შესახებ;
d. პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ;
e. ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულად ცნობის აუცილებლობის შესახებ.

*a. ფსიქოლოგიის კანონიერი, აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის აღდგენის შესახებ;*

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს მიმართა წინადადებით, რომ ფსიქოლოგიის არსებული აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის ნაცვლად, სასწავლო პროცესი წარიმართოს ძველი, როგორც თავად უწოდა, „კანონიერი საბაკალავრო პროგრამით“, რადგანაც მიაჩნია, რომ არსებული უკანონო და მცდარი ვერსიაა.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ტიპის განცხადება შეურაცხყოფას აყენებს როგორც ფაკულტეტს, ისე, ზოგადად, აკრედიტაციის პროცესს. არსებული საბაკალავრო პროგრამა სწორედაც რომ კანონიერია, შეთანხმებულია ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან და აკრედიტაციის საშუალებით აღიარებულია მოქმედ საბაკალავრო პროგრამად.

ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - ეს საკითხი არაერთგზის გამოდის საბჭოს სხდომაზე განსახილველად და, ასევე, არაერთგზის ასკვნის საბჭო წარმოდგენილი მოსაზრების არანორმირებულ, საბჭოზე განხილვისათვის შეუსაბამო შინაარსს, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც საბჭომ იგივე პოზიცია უნდა დაიჭიროს.

ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე - ჩემი ეს წინადადება ყოველთვის იგნორირებულია და არასერიოზული დამოკიდებულების საბაბი ხდება, ამიტომ უარს ვამბობ და, სჯობს, მოიხსნას განხილვიდან.

საბჭომ მოისმინა მსჯელობა, მომხსენებლის პოზიცია და აღნიშნული საკითხი მიიღო ცნობად.

*b. სწავლების 2 მოდელის შემოღების შესახებ („კურიკულუმის ეფექტიანობა");*

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს წევრებს შესთავაზა განიხილონ მისეული მოსაზრება კურიკულუმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სწავლების 2 მოდელის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს საბაკალავრო საფეხურზე საღამოს სწავლების მოდელის შემოღებას; მისი თქმით, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი სტუდენტი იძულებულია იმუშაოს, რაც მკვეთრად ნეგატიურად აისახება მისი ცოდნის ხარისხზე; თუ მათ ხელი არ შეეწყოთ, ამ გარემოებამ შეიძლება სახელმწიფოში პროფესიონალი სპეციალისტების დეფიციტი გამოიწვიოს.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წინადადება მართლაც საინტერესოა, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრის უფლებამოსილება ფაკულტეტის საბჭოს არ აქვს. უმჯობესი იქნებოდა ამ ეტაპზე გარკვეული ცვლილებათა პაკეტის მომზადება.

პროფ. ლალი სურმანიძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი სახელმწიფოსა და უმაღლესი განათლების კანონის დონეზეა გასაწერი, შესაბამისად, კარგი იქნება, თუკი გიორგი გოროშიძე მოამზადებს განცხადებასა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელსაც ფაკულტეტის მხარდაჭერით წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, რათა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოხდეს ამ საკითხის განხილვა და ანალიზი.

საბჭომ მოისმინა მომხსენებლის წინადადება და ასოც. პროფესორ გიორგი გოროშიძეს შესთავაზა, საუნივერსიტეტო სივრცეში წარსადგენად მოამზადოს კონცეფცია ე. წ. საღამოს სწავლების ფორმის შემოტანის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებისათვის.

*c. გ. გოროშიძის მიერ 1,5 წლის წინ წარმოდგენილი 4 კურსიდან საბაკალავრო პროგრამაში 2 კურსის ჩასმის ლეგიტიმურობის და მიზანშეწონილების შესახებ;*

ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩასართავად მის მიერ წარმოდგენილია სილაბუსები და სთხოვა ფაკულტეტის საბჭოს, განეხილა ეს საკითხი და მიეღო დადებითი გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ შემოსული განცხადება პროფესიული განხილვის მიზნით დააწერა შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ასოც. პროფესორ მაია რობაქიძეს, რომლისგან მიიღო წერილი, რომ წარმოდგენილი სილაბუსების

ეტალურად განსახილველად ინსტიტუტი შეიკრიბება 3 ივლისს და დასკვნას წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე - ინტიტუტისათვის ამ სილაბუსების გადაცემა არის ჩემ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რადგან აღნიშნული ადამიანები არასწორად, მიკერძოებით, დაბალ პროფესიულ დონეზე აფასებენ ჩემს სილაბუსებს. და, ზოგადადაც, ამ ტიპის განხილვები არ ჩატარებულა.

პროფ. თამარ გაგოშიძე - თითოეული ინსტიტუტის მიმართულების სილაბუსს აქვს სამეცნიერო სპეციფიკაცია, რომლის კომპეტენცია არც მე მაქვს და არც საბჭოს სხვა წევრებს, შესაბამისად, მე, როგორც დეკანი, რა თქმა უნდა, სწორედ იმ ინსტიტუტის დასკვნას დავეყრდნობი, რომლის აკადემიური შინაარსის ფარგლებშიც მზადდება ეს სილაბუსები. დეპარტამენტის დონეზეც ჩატარდა სხდომა და განხილულ იქნა წარმოდგენილი სილაბუსები და ვერ ვიტყვით, რომ ბატონი გოგის მიერ წარმოდგენილ სილაბუსებზე განხილვა არ ჩატარებულა. დაველოდები 3 ივლისს შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სხდომის ოქმს და მიღებულ გადაწყვეტილებას. აქვე დავძენ, როგორც მსჯელობიდან ვასკვნი, საჭიროა ამ სხდომის აუდიო ვერსიად ჩაწერა, რათა მონაწილეებს სამომავლოდ არ გაუჩნდეთ არსებული ფაქტების ინტერპრეტირების სურვილი.

პროფ. იამზე კუტალაძე - პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილი სილაბუსების დეტალური განხილვა უკვე გვქონდა და არაერთგზის, ბ-ნ გოგის მიეცა კიდეც შესაბამისი შენიშვნები და რეკომენდაციები. ასე რომ, მის მიერ ამგვარი განცხადება მოკლებულია ობიექტურ საფუძველს. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, რადგანაც ბ-ნი გიორგის სურვილია, ჩვენ კვლავ შევიკრიბებით და განვიხილავთ დეტალურად წარმოდგენილ სილაბუსებს.

ასოც. პროფ. გიორგი გოროშიძე - როგორც ვხედავ, ჩემ წინააღმდეგ დაწყებული პოლიტიკა ერთიანია, ამიტომ საერთოდაც აღარ აქვს მნიშვნელობა აქ იმიტირებულ ვითომდა განხილვის პროცესს.

საბჭომ იმსჯელა დასმული საკითხის შესახებ და შეთანხმდა, სამომავლოდ იხელმძღვანელოს 3 ივლისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სხდომაზე მიღებული და ხარისხის სამსახურისათვის მიწოდებული დასკვნის საფუძველზე.

*d. პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ;*

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ საჭიროდ თვლის, ფაკულტეტის ფარგლებში შეიქმნას პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისია, რათა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული შეუთანხმებლობისა თუ გაუგებრობის შემთხვევაში, მას მიეცეს მიუკერძოებელი, საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ინსტანციის სტატუსი.

**აზრი გამოთქვეს:**

პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია ამ ტიპის სტრუქტურული ერთეულის გაჩენის საჭიროება, მით უფრო, რომ გაუგებარია ამ კომისიის მოქმედების არეალი. თუ ასოც.პროფესორი გოროშიძე გულისხმობს დისციპლინურ გადაცდომებს, ამ ტიპის კომისია უკვე არსებობს საუნივერსიტეტო ერთიან სივრცეში.

ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - ამ საკითხს, ვფიქრობ, ასე მოუმზადებლად, კომისიის უფლება-მოავლეობებისა და მოქმედების სპეციფიკის გარეშე ვერ ვუყრით კენჭს და ვერც განვიხილავთ. სჯობს, გაცილებით ჩამოყალიბებული და დამუშავებული ინიციატივით შემოვიდეს ასოც.პროფ. გოროშიძე საბჭოს წინაშე, რათა შეგვეძლოს საკითხის არსობრივი და საგნობრივი განხილვა.

საბჭომ ასოც. პროფესორ გოროშიძის წინადადება მიიღო ცნობად.

*e. ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულად ცნობის აუცილებლეობის შესახებ.*

ასოც. პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ მისი აზრით, საჭიროა ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულად ცნობა, რათა მიმართულებას შეეძლოს ინსტიტუტის წინაღობის გარეშე პირდაპირი კავშირი დეკანსა თუ ფაკულტეტის საბჭოსთან. ამის საჭიროება საბუთდება, თუნდაც, ზემოაღნიშნული სილაბუსების ინსტიტუტის მიერ დაბლოკვის მაგალითით.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თამარ გაგოშიძე - სამართლებრივად ეს შეუძლებელია, ფაკულტეტის დებულება მიმართულებას ცალკე ინსტიტუციად არ განიხილავს, ხოლო თუ საუბარია ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ინსტიტუტად გარდაქმნაზე, ამას, ჯერ ერთი, სერიოზული დასაბუთება სჭირდება და, მეორეც, მას უნდა ჰქონდეს ცალკე სამივე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მატერიალური და ადამიანური რესურსი. ერთი მიმართულება ერთი ადამიანით ვერ იქნება დამოუკიდებელი ინსტიტუტი.

პროფ. იამზე კუტალაძე - პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ეს წინადადება საკმაოდ სუბიექტური ხედვებითაა განპირობებული, ვთვლი, რომ არ აქვს ფართო სამეცნიერო დასაბუთება და, შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, ასე ცალმხრივად საკითხის დასმა არამართებული და არასწორია.

საბჭომ მოისმინა მომხსენებლის წინადადება და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტს დაავალა, განიხილოს ინსტიტუტის სხდომაზე პროფესორ გოროშიძის მიერ ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულების ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულად ცნობის საკითხი და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები შემოთავაზებული სახით.

2. დამტკიცდეს განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

3. განისაზღვროს უცხოელი სტუდენტების მიღების საფაკულტეტო წესში საბუთების მიღების კონკრეტული ვადები და ამ სახით დამტკიცდეს.

4. გამოეყოს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამას ერთი ადგილი.

4. მიეცეს რეკომენდაცია ასოც. პროფესორ გიორგი გოროშიძეს, მოამზადოს უნივერსიტეტის შესაბამის უწყებებში წარსადგენად საუნივერსიტეტო სივრცეში ე. წ. საღამოს სწავლების ფორმის შემოტანის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებისათვის კონცეფცია.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / [signature] /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / [signature] /